| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი   | საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა | დაფინანსება ათას ლარში |
|--|--|--------------------------------------|------------------------|
|  | 02 01 02   |                                      | 559,2                  |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური  |                                      |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი            | საგზაო ინფრასტრუქტურის ექსპლოატაციის, მოვლა-შენახვის სამუშაოები დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველწლიურად მიმდინარეობს. რთული რელიეფის და კლიმატური პირობების გამო საგზაო ინფრასტრუქტურა მუდმივად საჭიროებს მიმდინარე შეკეთებას. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთება. ზამთრის პერიოდში გზების თოვლის საფარისგან გაწმენდა. |                                      |                        |
| მოსალოდნელი შედეგი                       | პროგრამის განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება არსებული საგზაო ინფრასტრუქტურა.   |                                      |                        |

| პროგრამის დასახელება  | კოდი  | გარე განათება | დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---------------|------------------------|
|   | 02 02   |               | 1207,7                 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახურები   | სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური. ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“   |               |                        |
| პროგრამის აღწერა და მიზანი  | <p>ღამით უსაფრთხო გადაადგილებისათვის მნიშვნელოვანია გარე განათების არსებული ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება, ახალი ქსელის მოწყობა. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერჯის ანაზღაურებას. გარე განათების სისტემის მოწყობა გენდერულად მნიშვნელოვანია, რადგან გაუნათებელი ქუჩები განსაკუთრებით რისკის შემცველია ქალების, ბავშვების, ხანდაზმული და შშმ პირებისთვის. გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირება ამცირებს დანაშაულის რისკებს.</p> |               |                        |
| გენდერული ასპექტების გათვალისწინებით მოწყობილი იქნება გარე განათების სისტემა და |   |               |                        |





|   |   |  |      |
|---|---|--|------|
| მოსალოდნელი შედეგი  | უზრუნველყოფილი იქნება გარე განათების ქსელის ფუნქციონირება.  |  |      |
| გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) დუშეთის მუნიციპალიტეტთან მისადაგებული ამოცანა, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა | მიზანი 9-ის ამოცანა 9.1 მუნიციპალიტეტის მასშტაბით ხარისხიანი, სანდო, მდგრადი და გამძლე ინფრასტრუქტურის განვითარება, ეკონომიკური განვითარებისა და ადამიანთა კეთილდღეობის ხელშესაწყობად, რომელიც იქნება ყველასათვის თანაბარად ხელმისაწვდომი | გათვალისწინებულია თუ არა გენდერული ასპექტები | დიახ |

| ქვეპროგრამის დასახელება        | კოდი   | გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია | დაფინანსება ათას ლარში |
|--------------------------------|--|------------------------------------|------------------------|
|                                | 02 02 01   |                                    | 332,9                  |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“   |                                    |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი  | <p>დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა;</li> <li>• ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება,</li> <li>• დაზიანებული სადენების აღდგენა.</li> </ul> |                                    |                        |
| მოსალოდნელი შედეგი             | პროგრამის განხორციელების შედეგად უზრუნველყოფილი იქნება გარე-განათების არსებულ ქსელზე ნათურების შეცვლა, შეკეთდება დაზიანებული და ამორტიზებული განათების ბოძები ან ჩანაცვლდება ახლით. ასევე მოხდება დაზიანებული სადენების აღდგენა.   |                                    |                        |

| ქვეპროგრამის დასახელება        | კოდი   | გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა | დაფინანსება ათას ლარში |
|--------------------------------|--|---|------------------------|
|                                | 02 02 02   |   | 874,8                  |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური.   |   |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი  | პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერჯის ანაზღაურებას, სოფელ არაგვისპირში გარე განათების მოწყობას. |   |                        |
| მოსალოდნელი შედეგი             | პროგრამის განხორციელების შედეგად უზრუნველყოფილი იქნება გარე განათების არსებული ქსელის ელექტროენერჯით მომარაგების საფასურის გადახდა.                                    |   |                        |



| პროგრამის დასახელება  | კოდი   | წყლის სისტემების განვითარება                 | დაფინანსება ათას ლარში |
|---|--|--|------------------------|
|   | 02 03  |  | 3912,1                 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახურები  | სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური. ა(ა)იპ „დუშეთის წყალი“  |  |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი   | <p>პროგრამა ითვალისწინებს დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. წყალმომარაგების სისტემის გამართული ფუნქციონირება გენდერულად მნიშვნელოვანია. პრიორიტეტულია მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა წლის ნებისმიერ პერიოდში.</p> <p>პროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობედეს სასმელი წყლის მიწოდება;</li> <li>- მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნდეს შეუფერხებელი წვდომა და იღებდეს სასმელ წყალს;</li> <li>- წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად.</li> </ul> |  |                        |
| მოსალოდნელი შედეგი  | გენდერული ასპექტების გათვალისწინებით მოწყობილი და გამართული წყალმომარაგების სისტემები. მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა.   |  |                        |
| გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) დუშეთის მუნიციპალიტეტთან მისადაგებული ამოცანა, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა | <p>მიზანი 6-ის ამოცანა 6.1: 2030 წლისთვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ადამიანისთვის უსაფრთხო და ხელმისაწვდომ სასმელ წყალზე საყოველთაო და თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა;</p> <p>მიზანი 9-ის ამოცანა 9.1: მუნიციპალიტეტის მასშტაბით ხარისხიანი, სანდო, მდგრადი და გამძლე ინფრასტრუქტურის განვითარება, ეკონომიკური განვითარებისა და ადამიანთა კეთილდღეობის ხელშესაწყობად, რომელიც იქნება ყველასათვის თანაბრად ხელმისაწვდომი</p>   | გათვალისწინებულია თუ არა გენდერული ასპექტები | დიახ                   |

| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი   | სასმელი წყლის სისტემების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | დაფინანსება ათას ლარში |
|--|--|--|------------------------|
|  | 02 03 01   |  | 3502,9                 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური  |  |                        |
|  | ქვეპროგრამის მიზანია წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესება და სუფთა წყალზე ხელმისაწვდომობის გაზრდა მოსახლეობის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. სოფლად წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგების პროცესში გათვალისწინებული იქნება გენდერული საჭიროებები და სამუშაოების განხორციელების შედეგად მოეწყობა გენდერულად მგრძობიარე ინფრასტრუქტურა. წყალმომარაგების სისტემის მოწყობისა და მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდების შედეგად გაუმჯობესდება საცხოვრებელი პირობები, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია |  |                        |



|                               |  |
|-------------------------------|--|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | <p>ქალეხისათვის. სოფლად მცხოვრები ქალები მეტად არიან ჩართული შინამეურნეობის მართვაში. უწყვეტი წყალმომარაგება ქალებს შეუმსუბუქებს საოჯახო საქმეებს და ნაკლებად მოუწევთ ფიზიკური შრომა (შორი მანძილიდან წყლის მოტანა, ხელით რეცხვა და სხვა), ექნებათ სხვადასხვა საოჯახო ტექნიკის გამოყენების საშუალება, შესაბამისად, დაეზოგებათ დრო და შემცირდება არაანაზღაურებად შრომაში მათ ჩართულობის ხანგრძლივობა. ამასთან, წყალმომარაგება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეპიდემიური კრიზისების დროს, როგორცაა პანდემია, როდესაც ინფექციის თავიდან აცილების ძირითადი საშუალება ჰიგიენაა, დაავადებათა რისკის შემცირება კი ისევე ქალეხისთვის არის მნიშვნელოვანია, რადგან ნაკლებად მოუწევთ ავადმყოფთა მოვლა. ასევე სოფლებში წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესება ხელს შეუწყობს სკოლებისა და საბავშვო ბაღების სასმელი წყლით მომარაგებას, რაც შექმნის სანიტარულ პირობებს სადამრედელო და განათლების დაწესებულებებში როგორც გოგონებისა და ბიჭებისთვის, ასევე ქალი და კაცი მასწავლებლებისა და დასაქმებული პერსონალისთვის. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ცალკეული დასახლებული პუნქტების წყალმომარაგების სისტემების მშენებლობა და რეაბილიტაცია. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია: მჭადიჯვრის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ჭილურტის წყალმომარაგების სისტემის მოწყობა, ჭონქაძის ა/ე-ში სოფ. ახალი ტონჩაში წყალმომარაგების სისტემის მოწყობა, ჭოპორტის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ. ახატნის სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია, სოფელ ბაზალეთში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის დასრულების სამუშაოები, ჭონქაძის ა/ე სოფელ არაგვისპირის წყალმომარაგების სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია, ლაფანანთკარის ა/ე დავათის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია, მაღაროსკარის ა/ე სოფელ შარახევში წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ხეობის ა/ე სოფელ ხეობის (ე.წ. „ლევანიანების“ უბნის) სასმელი წყლის სისტემის მოწყობა, ქვეშეთის ა/ე - სოფ. მულურში სასმელი წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია, დუშეთის მუნიციპალიტეტის რადოსადგურის დასახლების ჭაბურღილის და სამარაგო კომპლურა რეზერვუარის მოწყობა.</p> |
| მოსალოდნელი შედეგი            | <p>სოფლებში გენდერული ასპექტების გათვალისწინებით რეაბილიტირებული და მოწყობილი წყალმომარაგების სისტემა. გაიზრდება სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობა და გაუმჯობესდება მოსახლეობის საოჯახო და საცხოვრებელი პირობები. განვითარდება წყალმომარაგების ინფრასტრუქტურა და მუნიციპალიტეტის ზემოაღნიშნული დასახლებების მაცხოვრებლები უზრუნველყოფილი იქნებიან სასმელი წყლის მიწოდებით.</p>   |

| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი                   | ა(ა)იპ „დუშეთის წყლის“ ხელშეწყობა  | დაფინანსება ათას ლარში |
|--|------------------------|--|------------------------|
|  | 02 03 02               |  | 391,0                  |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ „დუშეთის წყალი“ |  |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი            |                        | ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია, დუშეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შემავალი დასახლებების წყალმომარაგება. წყალმომარაგების და წყალარინების სისტემების მოვლა-პატრონობა და შეკეთება. |                        |
| მოსალოდნელი შედეგი                       |                        | მუნიციპალიტეტის სხვადასხვა დასახლებაში არსებული წყალმომარაგების სისტემების გამართული ფუნქციონირება და განვითარება.   |                        |

| ქვეპროგრამის დასახელება                  | კოდი     | სარწყავი, სანიაღვრე არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა - რეაბილიტაცია                                     | დაფინანსება ათას ლარში |
|--|----------|---|------------------------|
|  | 02 03 03 |   | 18,2                   |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური |          | სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური                             |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი            |          | ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია: დაბა ჟინვალში N14 საცხოვრებელი კორპუსის ეზოში რ/ბეტონის სანიაღვრე ღარის მოწყობა. |                        |



|                    |  |
|--------------------|--|
| მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტის სხვადასხვა დასახლებაში არსებული სარწყავი სისტემის, სანიაღვრე არხების გამართულად ფუნქციონირება. |
|--------------------|--|

| პროგრამის დასახელება                     | კოდი   | ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება | დაფინანსება ათას ლარში |
|--|--|--|------------------------|
|  | 02 04  |  | 17,2                   |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური  |  |                        |
| პროგრამის აღწერა და მიზანი               | პროგრამის მიზანია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია დაბა ჟინვალში N10 საცხოვრებელი კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია, დაბა ჟინვალში N2 საცხოვრებელი კორპუსის გვერდითი ფასადის ლესვა, პარაპეტის დაფარვა თუნუქით. |  |                        |
| მოსალოდნელი შედეგი                       | ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა.  |  |                        |

| პროგრამის დასახელება                     | კოდი   | სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები | დაფინანსება ათას ლარში |
|--|--|--|------------------------|
|  | 02 05  |  | 3913,0                 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიასივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური   |  |                        |
| პროგრამის აღწერა და მიზანი               | სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი თანხის ფარგლებში დუშეთის მუნიციპალიტეტის 17 ადმინისტრაციულ ერთეულში შემაჯალ სოფლებში, დაგეგმილია ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია, კეთილმოწყობა. |  |                        |
| მოსალოდნელი შედეგი                       | პროგრამის განხორციელების შედეგად მოსალოდნელია მუნიციპალიტეტის სოფლების ინფრასტრუქტურული და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება.  |  |                        |

| პროგრამის დასახელება                    | კოდი   | კეთილმოწყობის ღონისძიებები | დაფინანსება ათას ლარში |
|---|--|----------------------------|------------------------|
|   | 02 06  |                            | 2695,9                 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახურები | სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური. ა(ა)იპ "დუშეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური"  |                            |                        |
| პროგრამის აღწერა და მიზანი              | პროგრამა ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბაღების, სკვერების, სასაფლაოების მოვლა-პატრონობას და სხვადასხვა კეთილმოწყობით ღონისძიებებს.<br>მოეწყობა გენდერულად პასუხისმგებლიანი ღია დასასვენებელი სივრცეები, სადაც მოსახლეობას, მათ შორის მოწყვლად ჯგუფებს (შშმ პირებს, ახალგაზრდებს, მოხუცებს, ბავშვებს და ქალებს) შეუფერხებლად შეუძლიათ ამ სივრცეებით, პარკებით, სკვერებითა და საზოგადოებრივი სივრცეებით |                            |                        |



|   |   |  |      |
|---|---|--|------|
|   | სარგებლობა.   |  |      |
| მოსალოდნელი შედეგი  | კეთილმოწყობილი მუნიციპალიტეტის ტერიტორია.   |  |      |
| გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) დუშეთის მუნიციპალიტეტთან მისადაგებული ამოცანა, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა | <p>მიზანი 9-ის ამოცანა 9.1: მუნიციპალიტეტის მასშტაბით ხარისხიანი, სანდო, მდგრადი და გამძლე ინფრასტრუქტურის განვითარება, ეკონომიკური განვითარებისა და ადამიანთა კეთილდღეობის ხელშესაწყობად, რომელიც იქნება ყველასათვის თანაბრად ხელმისაწვდომი;</p> <p>მიზანი 11-ის ამოცანა 11.7: 2030 წლისათვის მუნიციპალიტეტში შეიქმნას უსაფრთხო, ინლუზიური და ხელმისაწვდომი მწვანე და საჯარო სივრცეები, განსაკუთრებით ქალებისთვის და ბავშვებისთვის, მოხუცებისთვის და შშმ პირებისთვის</p> | გათვალისწინებულია თუ არა გენდერული ასპექტები | დიახ |

| ქვეპროგრამის დასახელება       | კოდი     | სპორტული მოედნების და დარბაზების მოწყობა-რეაბილიტაცია  | დაფინანსება ათას ლარში |
|-------------------------------|----------|--|------------------------|
|                               | 02 06 01 |  | 1896,1                 |
| პროგრამის განმახორციელებელი   |          | სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური  |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი |          | ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია: ქ.დუშეთში სპორტკომპლექსის დასრულების სამუშაოები, ქ.დუშეთში, ლადო ასათიანის ქუჩაზე (ნიშკაკლის სტადიონთან) სველი წერტილების მოწყობა, სოფ. ქვეშეთში სტადიონის მოწყობა. |                        |
| მოსალოდნელი შედეგი            |          | გაუმჯობესდება არსებული სპორტული ინფრასტრუქტურა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სპორტის განვითარებას და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას.  |                        |

| ქვეპროგრამის დასახელება       | კოდი     | ბაღების, სვერების, სავაჭრო პავილიონების, სარიტუალო დარბაზების, კულტურული ობიექტების, ამბულატორიების, სასწრაფო სამედიცინო დახმარების და საგანგებო სიტუაციების ცენტრების მოწყობა-რეაბილიტაცია   | დაფინანსება ათას ლარში |
|-------------------------------|----------|---|------------------------|
|                               | 02 06 02 |   | 173,6                  |
| პროგრამის განმახორციელებელი   |          | სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური   |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი |          | ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია: ბაზალეთის ა/ე-ში სოფ. ბაგაში სარიტუალო დარბაზის, ანაურის ა/ე-ში სოფ. ციხისძირში კლუბის და მაღაროსკარის ა/ე-ში მაღაროსკარის ამბულატორიის ელ.მომარაგების სამუშაოები, ქ. დუშეთის კულტურის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ქ.დუშეთში |                        |



|                               |  |  |                        |
|-------------------------------|--|--|------------------------|
| აღწერა და მიზანი              | მდებარე წმ. ბარბარეს სახელობის სასაფლაოს ტერიტორიის შემოღობვა და შესასვლელი კიბის რეაბილიტაცია.  |  |                        |
| მოსალოდნელი შედეგი            | ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად მოსალოდნელია არსებული სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების და ჯანდაცვის სერვისების გაუმჯობესება.  |  |                        |
| ქვეპროგრამის დასახელება       | კოდი   | ა(ა)იპ "დუშეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის" ხელშეწყობა | დაფინანსება ათას ლარში |
|                               | 02 06 03   |  | 626,2                  |
| პროგრამის განმახორციელებელი   | ა(ა)იპ "დუშეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური"   |  |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია: ა(ა)იპ "დუშეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის აპარატის ხარჯების დაფინანსება. განხორციელდება სკვერების, ბაღების, სასაფლაოების, მოვლა-პატრონობის და მუნიციპალიტეტის ტერიტორიის სხვადასხვა კეთილმოწყობითი ღონისძიებები. უმეტესწილად დარჩენილი ძალების თავშესაფარში ან ვეტერინარულ კლინიკაში გადაყვანის და თანმდევნი სამედიცინო მომსახურების გაწევა. |  |                        |
| მოსალოდნელი შედეგი            | კეთილმოწყობილი მუნიციპალიტეტის ტერიტორია.  |  |                        |

|                             |  |   |                        |
|-----------------------------|--|---|------------------------|
| პროგრამის დასახელება        | კოდი   | სტიქიის პრევენციისა და სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება | დაფინანსება ათას ლარში |
|                             | 02 07  |   | 1180,1                 |
| პროგრამის განმახორციელებელი | სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური  |   |                        |
| პროგრამის აღწერა და მიზანი  | პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სტიქიის პრევენციის ღონისძიებების, სტიქიის შედეგად დაზიანებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების, სასმელი წყლის სათავე ნაგებობების, სანიაღვრე არხების (მათ შორის, წყალგამტარი მილები), ბოგირების, გაბიონების, ბეტონის საყრდენი კედლების, ნაპირსამაგრი ნაგებობების და სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენითი სამუშაოებისა და მათთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა |   |                        |
| მოსალოდნელი შედეგი          | პროგრამის განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება სტიქიისაგან დამცავი მუნიციპალური ინფრასტრუქტურა, შემცირდება სტიქიით მიყენებული ზარალის საფრთხე, განხორციელდება დაზიანებული ობიექტების რეაბილიტაცია.   |   |                        |

|                                |   |   |                        |
|--------------------------------|---|---|------------------------|
| პროგრამის დასახელება           | კოდი  | სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და ექსპერტიზის ხარჯები | დაფინანსება ათას ლარში |
|                                | 02 08   |   | 1412,4                 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური.  |   |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი  | მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საფუძველს, მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების გათვალისწინებით, შესაბამისი საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებლად მთელ რიგ შემთხვევებში საჭიროა წინასაპროექტო კვლევების მათ შორის საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შესყიდვა. ამასთან აუცილებელია სამშენებლო – სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შესრულებულ სამუშაოებზე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება შესრულებული სამუშაოების საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა. პროგრამის ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია ქ.დუშეთის ქალაქმშენებლობითი დოკუმენტის/დოკუმენტების მომზადება, ქ.დუშეთის გენერალური |   |                        |



|   |  |  |     |
|---|--|--|-----|
|   | გეგმის შემუშავების და სანიტარული დაცვის მეორე სარტყელში არსებული არეალების დამატებითი კვლევის ხარჯები.   |  |     |
| მოსალოდნელი შედეგი  | ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დროულად და კვალიფიციურად მომზადება; შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები იქნება მაღალი ხარისხის, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნარმებს (სტანდარტებს). |  |     |
| გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) დუშეთის მუნიციპალიტეტთან მისადაგებული ამოცანა, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა | მიზანი 9-ის ამოცანა 9.1:<br>მუნიციპალიტეტის მასშტაბით ხარისხიანი, სანდო, მდგრადი და გამძლე ინფრასტრუქტურის განვითარება, ეკონომიკური განვითარებისა და ადამიანთა კეთილდღეობის ხელშესაწყობად, რომელიც იქნება ყველასათვის თანაბრად ხელმისაწვდომი;  | გათვალისწინებულია თუ არა გენდერული ასპექტები | არა |

| პროგრამის დასახელება          | კოდი  | მონაწილეობითი ბიუჯეტირება | დაფინანსება ათას ლარში |
|-------------------------------|---|---------------------------|------------------------|
|                               | 02 09   |                           | 500,0                  |
| პროგრამის განმახორციელებელი   | სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური   |                           |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | <p>მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის მიზანია ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის ზრდა ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში.</p> <p>პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება 2 პროექტი, რომელიც მიიღებს ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერას. პროგრამის დებულება, საპროექტო წინანდადებების გადარჩევის და მონიტორინგის მეთოდოლოგიები დამტკიცებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.</p> <p>პროგრამა შედგება შემდეგი ძირითადი ეტაპებისგან:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საპროექტო წინანდადებების მიღების ეტაპი;</li> <li>• საპროექტო წინანდადებების პირველადი გადარჩევა;</li> <li>• კენჭისყრა და გამარჯვებულის გამოვლენა.</li> </ul> <p>საპროექტო წინანდადებების მიღების ეტაპი - საპროექტო წინანდადებების წარდგენა მუნიციპალიტეტის მერიაში შესაძლებელია როგორც ადგილობრივი მაცხოვრებელი ფიზიკური პირის მიერ, ასევე საინიციატივო ჯგუფის/სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის მიერ. მერიაში წარმოდგენილი საპროექტო წინანდადებები უნდა აკმაყოფილებდეს წინასწარ დაწესებულ კრიტერიუმებს; საპროექტო წინანდადებების პირველადი გადარჩევა - სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი აფასებს, აკმაყოფილებს თუ არა საპროექტო წინანდადებება წინასწარ დაწესებულ კრიტერიუმებს. წინანდადებები, რომლებიც აკმაყოფილებს წინასწარ დაწესებულ კრიტერიუმებს, გადადის კენჭისყრის ეტაპზე; კენჭისყრა და გამარჯვებულის გამოვლენა - კენჭისყრა ტარდება ელექტრონულად, მუნიციპალური ვებ-გვერდის ლინკის მეშვეობით. კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება აქვს დუშეთის მუნიციპალიტეტში საცხოვრებლად რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეს. გამარჯვებულად ცხადდება ის პროექტ(ებ)ი, რომელმაც დააგროვა ხმების ყველაზე მეტი ოდენობა, მაგრამ არანაკლებ 265 ხმისა. მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტის „დაგეგმე შენი ბიუჯეტის“ ფარგლებში კენჭისყრის გზით გამარჯვებულია ორი პროექტი: დაბა ჟინვალში სპორტული მოედნის, ტრენაჟორების მოწყობა და ქ.დუშეთის ხევის გაწმენდითი სამუშაოები.</p> |                           |                        |



|   |   |
|---|---|
| გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა | მიზანი 16 - მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე |
| მოსალოდნელი შედეგი  | მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება 2 ახალი ინციატივა, რომლებიც შერჩეულია ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური მონაწილეობით და კონკურსის წესით; გაზრდილია მოსახლეობის ჩართულობის დონე მუნიციპალური ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში.      |

## მუხლი 15. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1,704.1 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქცია

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა                            | ათას ლარში<br>2024 წლის გეგმა |
|-----------------|--|-------------------------------|
| 03 00           | დასუფთავება და გარემოს დაცვა                                 | 1704.1                        |
| 03 01           | დასუფთავება და ნარჩენების გატანა                             | 1088.3                        |
| 03 02           | ა(ა)იპ "არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის" ხელშეწყობა | 615.8                         |

| პროგრამის დასახელება  | კოდი   | დასუფთავება და ნარჩენების გატანა             | დაფინანსება<br>ათას ლარში |
|---|--|--|---------------------------|
|   | 03 01  |  | 1088,3                    |
| პროგრამის განმახორციელებელი   | ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“   |  |                           |
| პროგრამის აღწერა და მიზანი  | დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.<br><br>პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ "დუშეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური" ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, ქალაქის და მუნიციპალიტეტის სხვა ტერიტორიების დაგვა-დასუფთავებას. ნარჩენების მართვის პროცესში გათვალისწინებულია გენდერული ასპექტები. მუნიციპალიტეტებში ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესება მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით კი ქალებისთვის მნიშვნელოვანია, რადგან ძირითადად ქალები არიან ჩართული საოჯახო საქმეებში და მათი არაანაზღაურებადი შრომის ნაწილია საყოფაცხოვრებო ნარჩენებზე ზრუნვა. |  |                           |
| მოსალოდნელი შედეგი  | მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება დასუფთავება და ნარჩენების გატანა; დასუფთავდება ქალაქი დუშეთი და მუნიციპალიტეტის სხვა ტერიტორიები.  |  |                           |
| გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) დუშეთის მუნიციპალიტეტთან | მიზანი 11-ის ამოცანა 11.6: 2030 წლისთვის მუნიციპალიტეტში ერთ სულ მოსახლეზე გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება, მუნიციპალური და  | გათვალისწინებულია თუ არა გენდერული ასპექტები | დიახ                      |





|   |   |  |  |
|---|---|--|--|
| მისადაგებული ამოცანა, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა | სხვა ნარჩენების მართვის საკითხებზე განსაკუთრებული ყურადღების დათმობით |  |  |
|---|---|--|--|

|                      |       |  |                        |
|----------------------|-------|--|------------------------|
| პროგრამის დასახელება | კოდი  | ა(ა)იპ „არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის“ ხელშეწყობა | დაფინანსება ათას ლარში |
|                      | 03 02 |  | 615,8                  |

|                             |  |
|-----------------------------|--|
| პროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ „არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია“ |
|-----------------------------|--|

|                            |   |
|----------------------------|---|
| პროგრამის აღწერა და მიზანი | <p>არაგვის დაცული ლანდშაფტი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მოიცავს მდინარეების – გუდამაყრის არაგვის, ფშავის არაგვისა და ხევსურეთის არაგვის – ხეობებს. მისი საერთო ფართობი 99 802 ჰექტარს შეადგენს. არაგვის დაცული ლანდშაფტი შეიქმნა ეროვნული მნიშვნელობისა და დიდი ესთეტიკური ღირებულების მქონე ბუნებრივი და ბუნებრივ-კულტურული ლანდშაფტის დასაცავად, რომელიც ადამიანისა და ბუნებრივი გარემოს ჰარმონიული ურთიერთობის შედეგად არის ჩამოყალიბებული; ასევე, ამ ტერიტორიაზე რეკრეაციული, ტურისტული და ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობების განსახორციელებლად, რათა გარემოსდაცვით საკითხებთან ერთად, დაცული იქნას ადგილობრივი თემების სოციალურ-ეკონომიკური ინტერესები.</p> <p>პროგრამის მიზნებია: ბიოლოგიური მრავალფეროვნებით, ისტორიით და კულტურით გამორჩეული ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეების-გუდამაყრის, ფშავის და პირაქეთა ხევსურეთის-მდინარეთა ხეობების ტერიტორიების დაცვის, აღდგენის და გონივრული გამოყენების ხელშეწყობა, ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება, ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტების, განსაკუთრებით გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი მცენარეებისა და ცხოველების გენეტიკური და სახეობრივი მრავალფეროვნების დაცვა და აღდგენა, მიწის, წყლისა და სხვა ბუნებრივი რესურსების დაცვა, აღდგენა და რაციონალური გამოყენება, გარემოსდაცვითი განათლებისა და მეცნიერული კვლევებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის, ისტორიული და კულტურის ძეგლებისა და განაშენიანების ტიპის დაცვა და შენარჩუნება, რეკრეაციის, ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნის ხელშეწყობა.</p> |
|----------------------------|---|

|                    |   |
|--------------------|---|
| მოსალოდნელი შედეგი | „არაგვის დაცული ლანდშაფტის“ შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონით მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელება, კანონით განსაზღვრული მიზნების და ამოცანების მისაღწევად. |
|--------------------|---|

|   |  |  |     |
|---|--|--|-----|
| გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) დუშეთის მუნიციპალიტეტთან მისადაგებული ამოცანა, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა | მიზანი 15-ის ამოცანა 15.1: 2030 წლისთვის სახმელეთო და შიდა წყალსატევების ეკოსისტემების და მათი სერვისების, კერძოდ ტყეების, ჭარბტენიანი ტერიტორიების, მთებისა და გამომშრალი მიწების კონსერვაციის, აღდგენისა და მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა საერთაშორისო შეთანხმებებით აღებული ვალდებულებების შესაბამისად | გათვალისწინებულია თუ არა გენდერული ასპექტები | არა |
|---|--|--|-----|

მუხლი 16. განათლება



განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 4,703.0 ათასი ლარი. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

|                 |   | ათას ლარში      |
|-----------------|---|-----------------|
| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა                   | 2024 წლის გეგმა |
| 04 00           | განათლება   | 4703.0          |
| 04 01           | სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება            | 3357.2          |
| 04 02           | სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა | 71.6            |
| 04 03           | საჯარო სკოლების ხელშეწყობა                          | 1274.2          |

| პროგრამის დასახელება        | კოდი   | სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება | დაფინანსება ათას ლარში |
|-----------------------------|--|--|------------------------|
|                             | 04 01  |  | 3357,2                 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი   |  |                        |
| პროგრამის აღწერა და მიზანი  | <p>საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება.</p> <p>შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება.</p> <p>დუშეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს.</p> <p>დღეის მდგომარეობით დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 18 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 600-ზე მეტი აღსაზრდელი.</p> <p>პროგრამის მიზანია:</p> <p>სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები;</p> <p>სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #485 დადგენილებით დამტკიცებული ტექტიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;</p> <p>სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ფუნქციონირება გენდერულად მნიშვნელოვანია, ადაპტირებული ინფრასტრუქტურის შექმნითა და ინკლუზიური სწავლების დანერგვით უზრუნველყოფილი იქნება სკოლამდელი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა. ამასთან ხელს უწყობს 2-დან 6-წლამდე ბავშვიანი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, რადგან მშობლებს, განსაკუთრებით კი დედებს უთავისუფლდებათ დრო და საშუალება ეძლევათ დასაქმდნენ, რაც მნიშვნელოვანია ოჯახის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ქალთა ეკონომიკური თავისუფლებისთვის.</p> |  |                        |



|   |   |  |      |
|---|---|--|------|
|   | <p>სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;</p>   |  |      |
|   | <p>სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება.</p>  |  |      |
| მოსალოდნელი შედეგი  | <p>სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ - სკოლამდელი აღზრდის ცენტრში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით.</p> |  |      |
| გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) დუშეთის მუნიციპალიტეტთან მისადაგებული ამოცანა, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა | <p>მიზანი 4-ის ამოცანა 4.2: 2030 წლისთვის ყველა გოგონასა და ბიჭისთვის ადრეულ ასაკში განვითარების, ზრუნვისა და სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რათა ისინი მზად იყვნენ დაწყებითი განათლებისათვის</p> <p>ამოცანა 4.5: 2030 წლისთვის ბავშვებისთვის, მათ შორის მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ბავშვებისთვის, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა უთანასწორობების აღმოფხვრის მიზნით</p>   | გათვალისწინებულია თუ არა გენდერული ასპექტები | დიახ |

| პროგრამის დასახელება        | კოდი   | სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა | დაფინანსება ათას ლარში |
|-----------------------------|--|---|------------------------|
|                             | 04 02  |   | 71,6                   |
| პროგრამის განმახორციელებელი | სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური.   |   |                        |
| პროგრამის აღწერა და მიზანი  | პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სკოლამდელი დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. მჭადიჯვრის სკოლამდელი აღზრდის ფილიალის რეაბილიტაცია და ეზოში საწყობის შენობის მოწყობა, სოფ. ოძისის საბავშვო ბაღის შენობის და ტერიტორიის სარეაბილიტაციო სამუშაოები. |   |                        |
| მოსალოდნელი შედეგი          | გაუმჯობესდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში არსებული პირობები   |   |                        |



|                             |   |                            |                        |
|-----------------------------|---|----------------------------|------------------------|
| პროგრამის დასახელება        | კოდი  | საჯარო სკოლების ხელშეწყობა | დაფინანსება ათას ლარში |
|                             | 04 03   |                            | 1274,2                 |
| პროგრამის განმახორციელებელი | სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის და განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურები.   |                            |                        |
| პროგრამის აღწერა და მიზანი  | პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია დუშეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოები და საჯარო სკოლებში მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურება. |                            |                        |
|                             |   |                            |                        |
| მოსალოდნელი შედეგი          | გაუმჯობესდება ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა.  |                            |                        |

### მუხლი 17. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

„კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტის“ პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 3,590.8 ათასი ლარი. პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა                        | ათას ლარში |
|-----------------|--|------------|
| 05 00           | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი     | 3590.8     |
| 05 01           | სპორტის სფეროს განვითარება                               | 1085.1     |
| 05 01 01        | სპორტული ღონისძიებების დაფინანსება                       | 69.1       |
| 05 01 02        | სასპორტო გაერთიანების ხელშეწყობა                         | 916.0      |
| 05 01 03        | მცხეთა - მთიანეთის სარაგბო კლუბის ხელშეწყობა             | 100.0      |
| 05 02           | კულტურის სფეროს განვითარება                              | 2335.7     |
| 05 02 01        | კულტურული ღონისძიებების დაფინანსება                      | 450.4      |
| 05 02 02        | სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა                          | 89.5       |
| 05 02 03        | ბიბლიოთეკების ხელშეწყობა                                 | 436.9      |
| 05 02 04        | მუზეუმების ხელშეწყობა                                    | 104.2      |
| 05 02 05        | კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის ხელშეწყობა              | 177.6      |
| 05 02 06        | კულტურის სახლების დაფინანსება                            | 859.9      |
| 05 02 07        | ტელემაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დაფინანსება | 4.0        |
| 05 02 08        | მუსიკალური კოლექტივების დაფინანსება                      | 98.4       |



|          |  |       |
|----------|--|-------|
| 05 02 09 | ა(ა)იპ "დუშეთის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და ტურიზმის განვითარების ცენტრის" დაფინანსება | 114.8 |
| 05 03    | წარმატებული სპორტსმენების, მათი მწვრთნელების წახალისების და ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება             | 50.0  |
| 05 04    | რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსება   | 120.0 |

| პროგრამის დასახელება  | კოდი   | სპორტის სფეროს განვითარება                   | დაფინანსება ათას ლარში |
|---|--|--|------------------------|
|   | 05 01  |  | 1085,1                 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახურები   | დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური. ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება“  |  |                        |
| პროგრამის აღწერა და მიზანი  | <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა, უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა. 2024 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული ღონისძიება. ჩატარდება მუნიციპალური, რეგიონული, საერთაშორისო და რესპუბლიკური ტურნირები ჭიდაობის სხვადასხვა სახეობაში, უმცროს ასაკში, ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში, ასევე რეგიონული და რესპუბლიკური ტურნირები ფეხბურთში, ფრენბურთში, ნიჩბოსნობაში, კრივში, კარატეში და სპორტის სხვა სახეობაში.</p> <p>პროგრამა ხელს უწყობს სპორტულ აქტივობებში გენდერულად მგრძობიარე პოლიტიკის განხორციელებას და სპორტული წრეების საქმიანობაში გოგონებისა და ბიჭების განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინებას. ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებები ხელს უწყობს სპორტული აქტივობებში გოგონებისა და ბიჭების თანაბარი ჩართულობა.</p> |  |                        |
| მოსალოდნელი შედეგი  | მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების ხელშეწყობა და გენდერული ასპექტების გათვალისწინებით თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია. სასპორტო განათლების სისტემის განვითარება, ბავშვთა და ახალგაზრდობის ჯანმრთელობისა და ჰარმონიული განვითარების, ფიზიკური აღზრდის, ერთიანი საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბება, „ვირტუალურ სამყაროში“ ცხოვრებისაკენ მიდრეკილების, ნარკომანიისა და ალკოჰოლიზმისადმი ლტოლვის დამლევა, ცხოვრების „უძრავი წესის“ ჩანაცვლება ფიზიკურად აქტიური ცხოვრებით. მწვრთნელ-მასწავლებელთა და სპორტსმენთა სოციალური და მატერიალური პირობების გაუმჯობესება.  |  |                        |
| გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) დუშეთის მუნიციპალიტეტთან მისადაგებული ამოცანა, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა | მიზანი 16-ის ამოცანა 16.6: ეფექტიანი, ანგარიშვალდებულებული და გამჭვირვალე თვითმმართველობის ორგანოების შექმნა   | გათვალისწინებულია თუ არა გენდერული ასპექტები | დიახ                   |

| ქვეპროგრამის დასახელება        | კოდი   | სპორტული ღონისძიებების დაფინანსება | დაფინანსება ათას ლარში |
|--------------------------------|--|------------------------------------|------------------------|
|                                | 05 01 01   |                                    | 69,1                   |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება“  |                                    |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი  | ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიების, ტურნირის, შეჯიბრების ორგანიზება, ხელშეწყობა და დაფინანსება. |                                    |                        |



|                    |   |
|--------------------|---|
| მოსალოდნელი შედეგი | მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის საშეჯიბრო სისტემის განვითარება, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია. |
|--------------------|---|

| ქვეპროგრამის დასახელება        | კოდი  | სასპორტო გაერთიანების ხელშეწყობა | დაფინანსება ათას ლარში |
|--------------------------------|---|----------------------------------|------------------------|
|                                | 05 01 02  |                                  | 916,0                  |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება“   |                                  |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი  | ქვეპროგრამა ითვალისწინებს ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების“ დაფინანსებას და შესაბამისად სპორტის სხვადასხვა წრის (ფეხბურთი, ჭიდაობა, კალათბურთი, ჭადრაკი, ფრენბურთი, ნიჭბოსნობა, კრივი, კარატე, ტანვარჯიში, ძალოსნობა, მძლეოსნობა, რაგბი) შეუფერხებელ ფუნქციონირებას მთელი წლის განმავლობაში. |                                  |                        |
| მოსალოდნელი შედეგი             | „დუშეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება“ მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; ყველა მსურველის შესაძლებლობა ექნება ჩაებას სხვადასხვა სპორტულ აქტივობაში. განვითარდება სასპორტო განათლების სისტემა. ხელი შეეწყობა ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას.  |                                  |                        |

| ქვეპროგრამის დასახელება        | კოდი   | მცხეთა-მთიანეთის სარაგბო კლუბის ხელშეწყობა | დაფინანსება ათას ლარში |
|--------------------------------|--|--|------------------------|
|                                | 05 01 03   |  | 100,0                  |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ „მცხეთა-მთიანეთის სარაგბო კლუბი ყაზბეგი“  |  |                        |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი  | ქვეპროგრამა ითვალისწინებს ა(ა)იპ „მცხეთა-მთიანეთის სარაგბო კლუბი ყაზბეგის“ დაფინანსებას რომლის ერთ-ერთ წევრს (დამფუძნებელს), მცხეთის, თიანეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებთან ერთად წარმოადგენს დუშეთის მუნიციპალიტეტი.        |  |                        |
| მოსალოდნელი შედეგი             | მცხეთა-მთიანეთის რეგიონში შემავალ მუნიციპალიტეტებში სარაგბო სპორტის განვითარების ხელშეწყობა, მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების ხელშეწყობა, მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის მხარდაჭერა. |  |                        |

| პროგრამის დასახელება                    | კოდი  | კულტურის სფეროს განვითარება | დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|-----------------------------|------------------------|
|   | 05 02   |                             | 2335,7                 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახურები | დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური. ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი“  |                             |                        |
